


ნ.ბ. ბ. შირცხალაშვილი



— წამოგრაანდით, ბატონო პროფესორო! მახსოვს, აღრე, ჩემი მეუღლის გაკეთებული სადილი გსიამოვნებდათ!
 — პირდაპირ მითხარი, რა მელ ფაქულტეტზე აბარებს თქვენი გიჟი!



გეგია და შვილი შვილი!..
შვილი შვილი — თითო შვილით!

სურვილები ჩვენს ქალებს — ქალთა საერთაშორისო წლისათვის

გათხოვილებს — ბევრი შვილი!
გასათხოვრებს — დროზე ქმარი!..
ქმრებისაგან — ერთგულება,
ან, ცხვირიდან, — ზოგ ქმარს, — ძმარი!

ქმრები ღმერთმა შეგახვედროთ:
წყნარ ქალს — წყნარი! კაბასს — ავი!..
მეუღლესთან, ზოგჯერ, ენა
დაიმოკლეთ კაბასავით!

შეეცადეთ: დედამთილებს
ჰყავდეთ საამაყო რძლებად!
მათ, თქვენს ხელში, დაე, ჰქონდეთ
კარგი ჯანი და გაძლება!

მულებს, მამლებს, მამამთილებს
მოეჩვენეთ კრძალვით, რიდიოთ!
მარტო ოჯახს არ გადაჰყვეთ, —
ფიგურებსაც გაუფრთხილდით!

საიდუმლოდ გეუბნებით:
დააშინეთ მაგრად მული, —
რათა დროზე გათხოვდეს და
თქვენც საგულეს გქონდეთ გული!

არავის არ აპატიოთ,
ვინაც გეტყვით სიტყვას მრუდეს!
შეეცადეთ, რომ ოჯახი
მატრიარქატს დაუბრუნდეს!

აკვნებს სულ არ მიეკაროთ!..
შვილს რომ აჩნთ, ქმარა, მარტო!
დედამთილი რისთვისა გყავთ?! —
ბავშვი იმან გაგიზარდოთ!

თქვენ განაგეთ, არვის ანდოთ
ოჯახური ბიუჯეტი!
ქმრები „უიგულს“ იყიდინ?
საჭეს თვითონ მიუჩქეთ!

კაცებივით მიეძალეთ
პაპიროსს და მაგარ სასმელს!
ისე ჩაიცვ-დაიხურეთ, —
უფრო ჰგავდეთ მამაკაცებს!

თუმცა უკვე რალა დაგრჩათ? —
იცვამთ შარვალს, ჩექმას, შინელს!..
(ისე ვატყობ, მალე კაცებს
მოტაცებით დააშინებთ!)

გავვიკაცდით! გავვიმკაცრდით! —
რა გისურვოთ ამის მეტი?!
ცხრა მთას იქით იყოს თქვენგან —
ჩხუბი, გაყრა, ალიმენტი!..

განსხვავება

ზაგათოვითა და კვირაობით, დილის 9 საათიდან, თბილისის ზღვის ნაპირებზე ეწყობა შეჯიბრება შემდეგ არასპორტულ სახეობებში:


1. ღვინის, ლუდის, ლიმონათისა და ბორჯომის ბოთლების მასობრივი მტვრევა და ნამსხვრევების პლაჟზე მიმოხვევა.
2. ბოთლის ნამსხვრევებზე შიშველი ფეხისგულეებით სიარულის დემონსტრირება იოგ-დამსვენებლების მიერ.
3. ინდივიდუალური და არადანიშნულების მიხედვით გამოყენებული სასამსახურო ავტომანქანებით ჯირითი პლაჟზე მწოლიარე დამსვენებლებს შორის, მტვრის ბულისა და კორიანტელის დაყენებით.
4. სხვადასხვა ჯიშის ძაღლების წვრთნა ნაპირიდან წყალში გადასროლილი ჭუჭყიანი ნივთების გამოტანაში.

შეჯიბრების მსახი: ნიანბი



გენიოსური უჩაზები

- ფიქრის დრო არ არის! — უნდა ჰქმნიდე!
- ოჰ, რა სასიამოვნოა მასთან კამათი! — იგი მუდამ ყველაფერზე თანახმაა!
- მწერალი ზოგჯერ უფროსილდება საკუთარ სახელს: ფსევდონიმს აწერს!
- მწერლის სისტემის კრიტიკის სიძლიერეა!
- კომბის ერთ წუთიანი აღმადრენა გამოცემლობას ტონობით ქალაქი დაუჯდა!
- მწერალმა თავისი თავი ამოწურა და ახლა სხვების ამოწურვას შეუდგა!



ნ.ა. ლოლუასი

სივცოვლს უხეხეხია

არქეოლოგებთან

ეროვნული მუზეუმი

ეს ამბავი იმ ზაფხულს მოხდა, როცა მტკიცე მტკიცე „ტროას გათხრები“ წავიკითხე და მტკიცედ გადავწყვიტე, არქეოლოგი გავმხდარიყავი!.. ერთი კვირის შემდეგ ექსპედიციაში ჩავირიცხე უმცროს ლაბორანტად.

ერთი სოფლის ახლოს, ხეობაში, დაგებანაკდით. პირველი სამუშაო დღე წერაქვით დავიწყე. დღის ბოლოს, ქანცვამოლეული, მივლასლასდი ჩემს კარავთან და საძილე ტომარაში შევძვერი. დილით ლაპარაკმა გამომადვილა. კარავს ორი კაცის ჩრდილი დაეცა... ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელის, ბატონი ბაგრატის ხმა ვიცანი.

— აუჰ, რას მელაპარაკებით, ბატონო ჩემო?! ეგ რა მოგსვლიათ?!

— მაშა, კაცო! აი, ეგრე გვიყო იმ ერთმა მგელმა!.. ორი თვეა, ჩვენი სოფლის საუკეთესო მონადირეები უსაფრდებთან, მაგრამ ვერაფერი დააკლეს! ნასწავლი ხალხი ბრძანდებით, იქნებ, თქვენ გვიშველოთ რამე?!

ექსპედიციის ხელმძღვანელმა ავტორიტეტულად ჩაახველა და დაზარალებულ მეცხვარეს დახმარება აღუთქვა.

იმ საღამოს ბატონმა ბაგრატმა საიდუმლო გამანდო: — ჩემო მურმან! ასეთი და ასეთი ამბავი მომხდარა.

სოფელი ცოფიან მგელს შეუწუხებია, საშველად ჩვენ მოგვმართეს! საჭმის გადადება არ ღირს! ნადირს ამაღამვე უნდა მოვუღოთ ბოლო!

ღამით მე და ბატონი ბაგრატი, ორლულიანი თოფებით შეიარაღებულები, უღრანი ტყისაკენ დავიძარით. ჩემი ხელმძღვანელის რჩევით, ნადირის მისატყუებლად, მისი დაბადების დღისათვის ნაყიდი ოცდახუთმეტმანეთიანი გოჭი და, „ყოველშემთხვევისათვის“, ერთი ლიტრა ჭაჭის არაყი წავიღეთ. ბატონი ბაგრატი თავს ნადირთა რისხვად აცხადებდა! არც მე დავრჩენილვარ ვალში, თუმცა სანადირო თოფი კი არა, შურდულიც არასოდეს მჭერია ხელში.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა ერთ დიდ მუხაზე მოგვკალათდით და, ისე, „ყოველშემთხვევისათვის“, ტოტებზე თოკებით მივებით. ბატონ ბაგრატს მისატყუებელი გოჭის ფეხზე გამომბმული თოკის ბოლო ეჭირა ხელში, დროდადრო გამოკრავდა ხოლმე და გოჭის ჭყვილი არემარეს აყრუებდა...

— ასე მგელს მოვიტყუებთ! — მიხსნიდა ჩემი ხელმძღვანელი.

ღამის ორი საათისათვის მე და ბატონ ბაგრატს ის ერთი ლიტრა არაყი უკვე გამოცლილი გვექონდა და, ნადირის მოლოდინითა და ძილით გათანგულები, ჩემს მიერ „ყოველშემთხვევისათვის“ წამოდებული რადიომიმღებით ვიქცევდით თავს.

ალიონზე დიქტორის ხმამ გამომადვილა:

— დილა მშვიდობისა, ამხანაგებო! ვიწყებთ, დილის ვარჯიშს!

მხრებში საშინელ ტკივილს ვგრძობდი... ალკოპოლისაგან თავი მისკდებოდა... თოკები, რომლითაც ხეზე ვიყავი მიბმული, საშინლად მიჭერდნენ მთელ ტანზე... ანაზღად ხელმძღვანელს გავხედე: მას, ჩემზე ადრე, გაეთავისუფლებინა თავი და ძირს ჩადიოდა... გოჭი აღარსად იყო!..

— ბატონო ბაგრატ! თქვენი გოჭი, გოჭი გაქცეულა! — ბატონი ბაგრატი სინანულით დასჩერებოდა სისხლიან კვალს...

— აბა, კაცო, გაქცეულა! — უკმაყოფილოდ წაიბურღუნა მან.

ბანაკისაკენ მიმავალ ბილიკს უხალისოდ გავუყვიეთ. რადიომიმღებიდან ბეთოპოვენის „გმირული სიმფონიის“ ჰანგები იღვრებოდა!..

თამაზ ჰვიზილი

ზოთა ხოლაზნელი

მეტრო და ავტობუს-ტროლეიბუსი

თუ ხალხი რამეს აკეთებს, არ შეიძლება, არ ჩანდეს! ჯერ არ მინახავს, მეტროში ვინმე პაპიროსს ქაჩავდეს!..

ჩახვალ და მოეკიდება გულს სიხარულის აღმური! აი, წესრიგი სად არის, — მართლაცდა იდეალური!..

ამ მიწისზედა ტრანსპორტსაც არ უმძიმს ჩვენი ტარება! თუმცაღა, ყველა ეწვევა, ვისაც კი არ ეზარება!

ხალხო, მითხარით მართალი! იფიცეთ შრომა ალალი! — ავტობუს-ტროლეიბუსი, იქნებ, ტრანსპორტი არ არის?!

ნ.ა. ელისო მაყაზვილინა

დეკემბერი

კოლონები და ბაყაყები საფრთხეს გვიქმნიან!.. გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ჭაობის პირას მცხოვრებთა „უსაფრთხოების წესები“! მისამართი:

რუსთავი, მგობროვის გამზირი № 37.

მაგისტრალური გახსადენი ჩვენს სოფელში გადის. ჩვენ კი გაზის სიკეთეს მოკლებულნი ვართ. იქნებ, მაგისტრალური აზრი მაინც მოგვაწოდოთ, ვის მივმართოთ?!

საგურამოელები



— უი, ქა! თქვენ გაიხარეთ! ქველი მოლა დაბრუნებულა!

საგურამოელები



უბაქსტორ

ნიანგის ფოსტა

გეგეჭკორის რაიონიდან გვატყობინებდნენ: სოფელ კიწიის მეურნეობა „შრომაში“ სერიოზული ნაკლოვანებებია, მისი ხელმძღვანელები უხეშად არღვევენ საკოლმეურნეო წესებს.

რედაქციამ საჩივარი გადაუგზავნა საქ. კბ გეგეჭკორის რაიონს, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ: „...კოლმეურნეობაში დოკუმენტალური რევიზიის შედეგად გამოვლინდა საფინანსო-საკასო დისციპლინის უხეშად დარღვევის ფაქტები, რის გამო მოხსნილი იქნა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. აფხაზავა, ბულალტრის მოადგილე უ. პაპავა, მოლარე ს. ჩაჩიბაია. რევიზიის მასალები გადაეგზავნა რაიპროკურატურას და მიმდინარეობს გამოძიება“.

ბარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოდან წერილი მოვიდა: უწყლობას ვერ ვთმენთ! იქნებ, შენ დაგვეხმარო, საყვარელო ნიანგო, რათა წყალი გამოგვიყვანონ!

რედაქციამ წერილი გარდაბნის რაისბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა. იქიდან გვაცნობეს: „...წერილში მოყვანილი ფაქტები სოფელ ნორიოს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ, სინამდვილეს შეესაბამება.“

...ნორიოს მერძვეობის მეურნეობის დირექციამ დააყენა საკითხი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მერძვეობა-მეზოხტეობის ტრესტის ხელმძღვანელობის წინაშე.

...უახლოეს დროში აღნიშნული სამუშაოები შესრულებული იქნება“.

ბარათი ნიანგს

გულკეთილი ნიანგო! ძალიან კი გვეხატრების შენი შუქუბები: ვიცით, რომ ათასის რიგის საქმე გაქვ, მაგრამ, ეგების, მაღლი მაისხა და დუშეთის რაიონის სოფელ დათვისის ჭალაზე კინოი ამაგვიტანო! ერთ ხეობაში ოთხ სოფელ ვართ, ბილეთებ გაუყიდავ არ დარჩების! ეკრანსაც ჩვენ ჩამაფეკიდებთ: თეთრ სუფრებზე გვაქვს! 80 წლის მოსუცებს 60 კილომეტრზედ ნუ გვატარებ კინოის საყურებლად!

მოხუცი ხევსურები

ძმირფასო ნიანგო! ოც წელზე მეტია, რაც ელექტრონერგიას შამპანური ღვინოების ქარხნის ელექტროჩიხურიდან ვიღებთ. ამ ხნის განმავლობაში, გარეთა გაყვანილობა დაძველდა და ავარიულ მდგომარეობაშია! ხის ბოძები დალპა... ზოგი წაიქცა; ზოგი წაქცევაზე! მავთული

ხშირად წყდება და, ამის გამო, სინათლე არ გვაქვს!

დავდივართ „თელასსა“ და შამპანური ღვინოების ქარხნის ხელმძღვანელობას შორის. პირველი მეორესთან გვაგზავნის, მეორე — პირველთან! იქნებ, შენ მოგვფინო სინათლე?

თბილისი—58, მესხეთე ქ. №2.
3, 5-ის მცხოვრებნი

ძმამ ნიანგო! უწყლობით პირში წყალი აღარ გვაქვს ჩაგუბებული და ხმას ვიღებთ! ერთი წყარო გვაქვს, ჩვენ კი ბევრნი ვართ! ზაფხულში მოწანწკარებს, ზამთარში სულ შრება! ვისთან არ ვიჩივლეთ, მაგრამ ყველამ ქვა ააგდო და ჩვენი ცარიელი კოკები შეუშერა! გვიყავი წყალობა და შენ იქნები ჩვენი მწყალობელი!


დღუშოთი, ნაგლიანთკარი და ჭილურთი



კბერ, ჩემს გვერდით, დღე ჩამოდის. მე ვიცი, რომ ეს დღე, როცა ამ მთის ფერდობებიდან სულ ქვემოთ, ბარში, დაეშვება, მდინარედ იქცევა. თუ მე, ბარის ერთი დარტყმით, დღეს კალაპოტს შევუცვლი და მთის იქითა ფერდობზე გადავისვრი, მთის აქეთა მხარეს გაჩერდებიან წისქვილები, ელსადგურები, გახმება ბალახი... და, ბოლოს, ბარში ჩაქრება სინათლე! მე მაგონდება, რომ, უწინ, მდინარე მთის იქითა კალთიდან ეშვებოდა. ისიც მაგონდება, რომ დედა სანადიროდ დადიოდა და მამა სარეცს რეცხავდა. მაშინ კატლეტის მანქანა არ იყო, მაგრამ კბილები იყო! კბილები, მასსოვს, სხვა საქმესაც კარგად აკეთებდა. ზოგჯერ, მთელი დღის სალაპარაკოს უთქმელად, ერთ წუთში, ღრჭიალით იტყოდა ხოლმე. წინათ ქალაქი არ იყო, მაგრამ ქვები იყო! მუდმივი კალამი არ იყო, მაგრამ წერაქვი იყო! ქვები იყო საწერი, სასროლი. ქვები იყო მალა ასაგდები და თავის შესაშვრი. ისეთი ქვებიც იყო, აიღებდით და, რა ზომისა და ფორმისაც გნებავდათ, საკუთარ თავს გამოაქანდაკებდით: გნებავდათ, — ცხენზე შემჯდარსა და, გნებავდათ, — წამოწოლილს! გნებავდათ, — გვირგვინით და გნებავდათ, — უგვირგვინოდ! ქვები იყო გულზე დასადებიც. არ იყო ელექტრონერგია, მაგრამ იყო ელექტრონივით თვალები, მანქანის ფარებივით რომ შემოგანათებთ. ტყეში თუ შეხვედრიხართ, მგლებს რომა აქვთ, აი, ისეთი თვალელები ჰქონდათ მაშინ ადამიანებს. არ იყო რენტგენი, მაგრამ... ანდა, საჭირო იყო, ნეტავ? ვფიქრობთ, კი! მაშინ უფრო საჭირო იყო, რადგან ახლა ისედაც კარგად ხედავენ ერთმანეთს. („ნა სკოზ ვიჟუ“) არ იყო მაშინ ტუფლი, მაგრამ იყო შესანიშნავი ტყავი ფეხისგულზე, აქილესის ქუსლით. მაშინ არ იყო „ჩემი“ და „შენი“. ამ მოვლენის მცირეოდენი გადმონაშთები ახლაც გვხვდება. მაგალითად, ჩვენი სოფლის კოოპერატივის გამგის ცოლი.

საიდან იცით ყველაფერი ესო, მკითხავთ. საიდან? მე ხომ მეორედ მოვედი. როგორ? ერთხელ (წინათ) ძალიან გაგბრავდი. „რაზე ბრავდები, შე კაცო?! — მითხრა ერთმა, — პრასი ხომ არა ხარ, მეორედ მოხვიდო!..“ „პრასი ვარ-მეთქი“, — ვუთხარი და, აკი, დაგუმტიციე კიდევ, მე რომ მეორედ მოვედი!

ნოდარ მაკაშონია



საერთაშორისო
 კავშირების
 ინდექსი 76137